

2016 წლის 30 სექტემბერი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 30 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. გოგეშვილის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის ს. აბულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამა წლის 27 სექტემბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩში, თბ „ჯიქი“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“ შორის მომხდარი ინციდენტის გამო და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ჯიქი“-ს მორაგბე ნიკა ღვალაძე გუნდური ჩხუბის პროვოცირება (დამწყები).
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე გიორგი მაკოევი გუნდური ჩხუბის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.8 და 2.7.7 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „ჯიქი“-ს მორაგბე ნიკა ღვალაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე გიორგი მაკოევი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. სადისციპლინო კომისიის მიერ შეფარდებული სადისციპლინო სანქციის ვადაში ჩაითვლება თამაშის დროს პირის მიმართ გამოყენებული წითელი ბარათით გათვალისწინებული დაყოვნების ვადა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/